

**ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი 010451
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება აგრარული მიმართულების სასურსათო ტექნოლოგიის დარგს. ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის საქმიანობა დაკავშირებულია საზოგადოების სასარგებლო, ეკოლოგიურად სუფთა ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტებით უზრუნველყოფასთან და მოიცავს ხილ-ბოსტნეულის მიღების, შენახვისა და გადამმუშავებისათვის საჭირო სხვადასხვა სამუშაო ოპერაციის შესრულებას.

II. დასაქმების სფერო

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი შეიძლება დასაქმდეს ხილისა და ბოსტნეულის შესანახ და გადამმუშავებელ მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებში, ხილისა და ბოსტნეულის შესანახ საცავებში და სამაცივრე სისტემებში, ნედლეულის მიმღებ პუნქტებში, ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებში, შეიძლება გახდეს ინდივიდუალური მეწარმე.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის პროფესიული განათლება ერთსაფეხურიანია (III). შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ეიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 50 კრედიტას. აქედან, მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

V. ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის ხილისა და ბოსტნეულის შემადგენლობა და ზოგადად მისი მნიშვნელობა კვებისათვის, იცის ხილ-ბოსტნეულის კლასიფიკაცია და ზოგადად მათი პირველადი დამუშავების სპეციფიკა, შენახვის მეთოდები და შენახვის უნარიანობის თეორიული საფუძვლები. იცის ხილ-ბოსტნეულის კონსერვების სახეები და კლასიფიკაცია, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავების ძირითადი ტექნოლოგიური სქემები, ზოგადად ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრობა და ამ დროს გამოყენებულ მოწყობილობებთან მუშაობის წესები. აცნობიერებს მოწყობილობებთან მუშაობის უსაფრთხოების ზომებს და აქვს მათი მუშაობის დეფექტის აღმოჩენისთვის შესაბამისი ცოდნა. იცის მზა პროდუქციის დასაწყობების და ნიშანდების ოპერაციები. აცნობიერებს გადამამუშავებელი წარმოებისთვის სანიტარიისა და ჰიგიენის ნორმების დაცვის მნიშვნელობას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია ხელმძღვანელის ზედამხედველობით დამოუკიდებლად წარმართოს ხილისა და ბოსტნეულის პირველადი დამუშავებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიური ოპერაციები და პროცესები. შეუძლია გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიური მოწყობილობა და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში აქვს მარტივი პრობლემის აღმოფხვრის უნარი. შეუძლია სამუშაო გარემოში მიღებულ დავალებით დამოუკიდებლად აწარმოოს ხილისა და ბოსტნეულის დამუშავების პროცედურები (ინსპექცია, დახარისხება, რეცხვა, თბური დამუშავება, ხარშვა, დაფასოება, ასეპტიკური ჩამოსხმა, დეაერაცია, ჰომოგენიზაცია, სტერილიზაცია, შრობა, სიცივით შენახვა და სწრაფგაყინვა) მოთხოვნის დონეზე, შესაბამისი მანქანა დანადგარების გამოყენებით. შეუძლია მზა პროდუქციის დასაწყობება და ნიშანდება. წარმოებაში სანიტარიის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი	შეუძლია ხილისა და ბოსტნეულის პირველადი გადამამუშავების პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და ხელმძღვანელთან შეთანხმებით ამ პრობლემების
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	შეუძლია: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ხილ-ბოსტნეულის პროცესების ძირითად საკითხებზე მშობლიურ ენაზე. ინფორმაციული კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში. შეუძლია ელემენტარულ დონეზე კომუნიკაცია უცხოურ ენაზე პროფესიულ საკითხებში.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია განსაზღვროს საკუთარი პროფესიული ზრდის შესაძლებლობები, შეიძინოს ახალი გამოცდილება ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავების საკითხებზე და შესაბამისად დაგეგმოს შემდგომი სწავლა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ღირებულებები. აცნობიერებს პროდუქტების გადამამუშავების ხარისხიანად შესრულების მნიშვნელობას. არის პუნქტუალური და დისციპლინირებული. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

